# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 148

2018წ. "07" 09

ქ. თბილისი

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" მიენიჭოს უფლება, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ,,ფერმერობა მეთევზეობაში" და ,,ელექტროობა" განახორციელოს დამატებით ახალ მისამართზე, ხობის მუნიციპალიტეტ, სოფელ ნოჯიხევში დანართის შესაბამისად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
კარლო კერვალიშვილი

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტროობა (1) | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569 | 56 | 71 | ქართული | 13 | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54 |
| | | | | | | | 13 | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი |
| 2 | ფერმერობა მეთევზეობაში (1) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364 | 105 | 135 | ქართული | 15 | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54 |
| | | | | | | | 15 | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*